სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
03193837816625

**საქართველო**

სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N251180574**

რეგისტრაციის თარიღი
**08.09.2025 წ**

ნოტარიუსი: დარეჯან ახალბედაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
ტელეფონი: 591706628

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის რვა სექტემბერს მე, ნოტარიუს დარეჯან ახალბედაშვილს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ თბილისი, ქუჩა მტკვარი, №6, სართული 1, მომმართა **დავით კევლიშვილმა, როგორც შპს „ პალადა „-ს დირექტორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საიდენტ. კოდი # 406046906)** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად **დავით კევლიშვილმა** (დაბ. 14.06.1963წ. თბილისი, პირადი# 01005003206) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №507), სულ: 40,40 ლ. მათ შორის: მ. 31.8. - 30, 00 ლ. + თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, დ.ღ.გ. 5,40 + მ. 39. 1. 5,00 ლ.

**მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა**

მე, **მიმნდობი** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ჯემალ აბაიშვილს (დაბ. 15.03.1971წ. თბილისი პირადი #01009002578)** იყოს შპს-ს წარმომადგენელი მუნიციპალიტეტებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, დაგეგმარების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, გამგეობაში, ეკონომიკის სამინისტროში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქიტექტურის სამსახურში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ლეგალიზაციის კომისიაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ტექინვენტარიზაციის ბიუროს არქივში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, შსს-ში და მისდამი დაქვემდებარებულ ნებისმიერ ორგანოში, პროკურატურაში, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, პოლიციაში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, **შპს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე** ქალაქი თბილისი , **ქუჩა ჯავახეთის** , N 5ბ - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასთან, სტატუსის შეცვლასთან, ექსპლოატაციაში მიღებასთან, წითელი ხაზების კორექტირებასთან, ნებისმიერი პროექტის შედგენასთან, დამტკიცებასთან, მშენებლობის ნებართვასთან, შენობა-ნაგებობების აშენების ნებართვის აღებასთან პროექტის წარდგენასთან, ჯარიმის გადახდასთან, ბანერის განთავსებასთან, შენობაზე წარწერის გაკეთებასთან, რეკლამის განთავსებასთან, გარე ფასადის შეცვლასთან, საჩრდილობლის გაკეთების უფლებასთან, საპროექტო სამუშაოების ჩატარებასთან, დემონტაჟთან, შენობების აშენებასთან, რეკონსტრუქციასთან, ცვლილებასთან, განშლასთან, სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან , სამშენებლო ნარჩენის გატანასთან, ნებისმიერი პროექტის შეტანასთან და დამტკიცებასთან **დაკავშირებით,** შეადგინოს / გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს პროექტი, მოახდინოს ცვლილებების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, გაასწოროს ხარვეზები, აწარმოოს ყოველგვარი მოლაპარაკება პროექტთან დაკავშირებით, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, მოითხოვოს ინფორმაცია, მიიღოს ხელზე ნებსიმიერი საბუთი, ქვითარი, ბრძანება, მოითხოვოს უკვე გადახდილი თანხის ანაზღაურება / გამოითხოვოს უკან, ჩათვალოს გადახდილი თანხა. გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი, მოითხოვოს დუბლიკატები. აწარმოოს მშენებლობა,დემონტაჟი, ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, ჩაატაროს აზომვითი ნახაზები, აღმოფხვრას ნებისმიერი ხარვეზი, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან

**მინდობილობა გაცემულია შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.**

**მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.**

წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა დარეჯან ახალბედაშვილმა, რომელმაც წამიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარებად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დარეჯან ახალბედაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა მხარეს.

მიმნდობი: ---

ნოტარიუსი: დ. ახალბედაშვილი